პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№31 (4025)

14 თებერვალი. შაბათი.

1970 წ.

ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს ზამთრის III სპარტაკიადამ ახალგაზრდა ზამთრისმოთხილამურეთა ზრდა ცხადყო. კარგად გამოვიდნენ თბილისელი ჭაბუკები — 13 წლის ნ. ურუშაძე, 14 წლის გ. ლომინაძე, 15 წლის ბაკურიანელი თინა კოზანაშვილი და სხვები, რომლებიც უახლოეს წლებში ოსტატთა რიგებს შეავსებენ.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — ნ. ურუშაძე სპეციალურ სლალომში ასპარეზობისას; მარჯვნივ — თ. კოზანაშვილი გიგანტური სლალომის ტრასაზე.

ფოტო ო. გელაშვილისა. (ჩვენი სპეც. კორ.).

...შინ უკეთესია

შარშან ოქტომბერში ამერიკის ქალაქ ლას-ვეგასში საბჭოთა მოკრივეებმა ანგარიშით 6:5 მოიგეს აშშ — სსრ კავშირის მატჩი. მეორე შეხვედრაში — 11 თებერვალს მოსკოვში — მათ უკვე 11-დან მეშვიდე ორთაბრძოლაში გაიანადგეს გამარჯვება. ამ დროისთვის წინ საბჭოთა სპორტსმენები იყვნენ — 6:1, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი მატჩის ბედი მეტოქეებმა მხოლოდ 10 შეხვედრის შემდეგ გადაწყვიტეს.

წითელი ატლასის ხალათებში და თეთრ კაპიშონებში გამოწყობილი სტუმრები შეჯიბრების გახსნის ცერემონიალზე... პიპლებს ბავდნენ. შეხვედრის დროს კი მათ მყისვე დაკარგეს ეს უწყინარი სახე — იქცნენ გამოცდილ, ტექნიკურ ათლეტებად. მიუხედავად ამისა, საბჭოთა მოკრივეების არსენალი უფრო მდიდარიც აღმოჩნდა და მრავალფეროვანიც.

წარბები გუნდების მწვრთნელებმა ჰ. ნაპიმ და ი. რადონიკამ მატჩის წინ თქვეს, სპორტსმენები კარგ სპორტულ ფორმაში არიანო. ამერიკის გუნდში სამი დებიუტანტი შედიოდა: 21 წლის კ. დანიელსი, 18 წლის ჯონ სანტიაგო და 22 წლის ჯ. დანიელსი. ახალბედები გამოდიოდნენ საბჭოთა გუნდშიც. მათგან ყველაზე უფროსი იყო 34 წლის ვოლგოგრადელი, ქვეყნის ექს-ჩემპიონი ვ. ივანოვი. იგი გამოდიოდა 48 კგ-მდე წონით კატეგორიაში.

პირველი, ვინც ლუჟნიკის სპორტის სასახლეში შეკრებილი 13 ათასი მაყურებლის ტაში დიამსახურა (მაყურებელთა შორის იყო 100 ამერიკელი ტურისტი, რომლებიც საგანგებოდ ჩამოვიდნენ ამ შეჯიბრებაზე, აგრეთვე, კრივის სპეციალისტები ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, პოლონეთიდან და რუმინეთიდან), აღმოჩნდა ვოლგოგრადელი ვ. ივანოვი — სსრ კავშირის 1968 წლის ჩემპიონი. ამ პირველი უმჩატესი წონის მოკრივემ სწრაფად ჩააგდო ნოკდაუნში უ. ჰოტორნი, შემდეგ კი, გაჩენილი წარბის მიუხედავად, უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა. სამივე მსაჯმა მას დაუჭირა მხარი.

გამარჯვება მეორე უმჩატეს წონაშიც საბჭოთა სპორტსმენს — ნიკოლაეველ ვ. ზაპოროჟეცს ხვდა. მერე სსრ კავშირის ჩემპიონმა იუნაორთა შორის, მოსკოველმა ა. მელნიკოვმა დაამარცხა ჯ. კოული (მჩატე).

სტუმრებმა მხოლოდ მეოთხე შეხვედრაში მოიპოვეს პირველი ქულა: რ. ლანიმ (ქვემსუბუქი) მოუგო ახტრახანელ ბ. კუზნეცოვს. მაგრამ შემდეგ ტაშკენტელმა ნ. ხრომოვმა (მსუბუქი წონა) აშკარა უპირატესობით დაამარცხა ჰ. რუისი, ხოლო ევროპის ორგზის ჩემპიონმა, მოსკოველმა ვ. ფროლოვმა (პირველი ქვესაშუალო) — კ. დანიელსი. დასასრულ, მეორე ქვესაშუალო წონაში სსრ კავშირის ნაკრების დებიუტანტის ო. ტოლკოვის (მან დაამარცხა ა. მუნიცა) გამოსვლის შემდეგ, მასპინძლებმა მატჩში საერთო გამარჯვება მოიპოვეს.

სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონმა, ვოლგოგრადელმა ვ. ტრეგუბოვმა (პირველი საშუალო წონა) დისკვალიფიკაცია მიიღო შემთხვევითი დარტყმისთვის, რომელიც მან ჯ. ვალდესს წელს ქვემოთ მიაყენა. ევროპის ჩემპიონმა, მოსკოველმა ვ. ტარასენკოვმა (მეორე საშუალო) დაამარცხა ამერიკელი ლ. უორდი, საბჭოთა გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრმა, კალინინგრადელმა ვ. ბაბარიკამ (ქვემძიმე) — ჯ. სანტიაგო, მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ა. ვასიუკინმა (მძიმე წონა) — ჯ. დანიელსი.

სსრ კავშირ — აშშ-ს მატჩის საერთო ანგარიშია 9:2 საბჭოთა მოკრივეთა სასარგებლოდ.

14 თებერვალს მინსკში ამერიკელი სტუმრები საბჭოთა ქვეყანაში მეორე გამოსვლას მოაწყობენ. ისინი შეხვდებიან სსრ კავშირის ნაკრების სხვა შემადგენლობას.

სპორტი მოკვიმოკრივე

ევროპულ შეჯიბრებებში

თბილისის „დინამომ“ კანონზომიერება დაარღვია

ვარშავა, 12 თებერვალი. გუშინ აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალური მატჩი ადგილობრივ „პოლონიასა“ და თბილისის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის. თბილისელთათვის ეს იყო ტურნირის პირველი კალენდარული თამაში, „პოლონიამ“ კი ამ შეხვედრამდე დაამარცხა რუმინეთის თასის მფლობელი „სტიაუა“ (შინ მოიგო 11 ქულა, სტუმრად წააგო 4 ქულა).

მასპინძლების ამოცანა ცხადზე უცხადესი იყო — შეექმნათ თბილისის მატჩისთვის ქულათა რაც შეიძლება დიდი მარაგი და შედარებით პატარა ანგარიშით წაეგოთ სტუმრად (მით უმეტეს, რომ ყველა მერვედფინალური ბრძოლა მასპინძლებმა მოიგეს). მაგრამ თბილისის დინამოელებმა, რომლებიც თავიდანვე აგრესიულად იყვნენ განწყობილი, დაარღვიეს კანონზომიერება და მეტოქე სწორედ მის მოედანზე დაამარცხეს. ამით „დინამომ“ ნახევარფინალში თამაშის თითქმის ასპროცენტიანი გარანტია მიიღო.

მართალია, პირველმა ტაიმმა უძლიერესი ვერ გამოავლინა (37:37), მაგრამ აშკარა გახდა, რომ „პოლონია“ განზრახვას ვერ აისრულებდა: 20 წუთის მანძილზე ინიციატივას დინამოელები ფლობდნენ. ისინი მეტოქის კალათს უფრო ეფექტურად უტევდნენ, საიმედოდ იცავდნენ თავს და, რაც მთავარია, ანგარიშს მკაცრად აკონტროლებდნენ. „პოლონია“ შესვენებამდე მხოლოდ მდგომარეობის გათანაბრებაზე ფიქრობდა, რასაც ბოლოს და ბოლოს მიაღწია კიდეც საკონტროლო დროის მიწურულს.

შესვენების შემდეგ მასპინძლები ერთხელ 2 ქულითაც კი დაწინაურდნენ (41:39), მაგრამ ეს იყო და ეს. შემდეგ „დინამომ“ დაიბრუნა ინიციატივა და უპირატესობა ნელ-ნელა გამარჯვებად აქცია. 82:77 — ასე დამთავრდა მატჩი, რომელმაც სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

თბილისელთა შორის ყველაზე შედეგიანები იყვნენ: ქორქია (18 ქულა), უგრეხელიძე და ლეჟავა (12-12). დაცვაში კარგად ითამაშა სხვერელმა.

საპასუხო მატჩი თბილისში 19 თებერვალს გაიმართება.

წაგების მიუხედავად

კალათბურთი

11 თებერვალს გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მორიგი მეოთხედფინალური მატჩები კალათბურთში.

„ბ“ ჯგუფში ყურადღების ცენტრში იყო სსრ კავშირის ჩემპიონის ცსკა-სა და იტალიის „ინისის“ მატჩი, რომელიც ვარეზეში ჩატარდა. როგორც ცნობილია, პირველი შეხვედრა მოსკოვში საბჭოთა კალათბურთელებმა 23 ქულით მოიგეს. იტალიელებმა საპასუხო მატჩი აღმავლობით ჩაატარეს და დამჯერებელი რევანშიც აიღეს — 79:59 (41:29), მაგრამ ორი შეხვედრის ჯამში გამარჯვება მაინც ცსკა-ს დარჩა. მისი უპირატესობა 8 ქულით განისაზღვრა.

იმავე ჯგუფში ძალიან შეუპოვარი გამოდგა საფრანგეთის „ვილერბანისა“ და იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდას“ ორთაბრძოლა. იუგოსლავიელებმა პირველი მატჩი შინ ერთი ქულით (76:75) მოიგეს, სტუმრად კი 2 ქულა წააგეს — 73:75 (39:39). ამან ორი შეხვედრის ჯამში უპირატესობა საფრანგეთის ჩემპიონს მოუტანა.

აი, როგორ გამოიყურება სატურნირო ცხრილი:

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	4	3	1	332-313	3
„ინისი“ (იტალია)	4	3	1	311-281	3
„ვილერბანი“ (საფრანგეთი)	4	1	3	289-321	1
„ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლ.)	4	1	3	323-340	1

20 45

◆ ბადალონა, 13 თებერვალი. ესპანეთის ამ ქალაქში გაიმართა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მორიგი მატჩი. ითამაშეს ადგილობრივმა „ხუბენტუდმა“ და საბერძნეთის კლუბმა აეკ-მა. გაიმარჯვეს ესპანელებმა — 87:68.

◆ ბრიუსელი, 13 თებერვალი. აქ ჩატარდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალის საპასუხო მატჩი ბელგიის „რესინგისა“ და მადრიდის „რეალის“ კალათბურთელებს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 89:82.

მეგობრობის სელისკენთებით

სოფია, 11 თებერვალი. ბულგარეთში სტუმრადაა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის დელეგაცია ამ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ივონინის მეთაურობით. საბჭოთა სტუმრებმა მონაწილეობა მიიღეს სპორტის სფეროში ამ ორი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობისა და გაცვლა-გამოცვლის ერთობლივი კომისიის მუშაობაში.

მოლაპარაკება, რომელიც გულწრფელი და სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩატარდა, დამთავრდა 1970 წლისთვის შედგენილი ოქმით.

ბულგარეთში ჩატარდება საბჭოთა ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის კვირეული, მოეწყობა გამოფენები, რადიოკონკურსები და შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ოქმში აღნიშნულია, რომ ბულგარეთის სპორტული საზოგადოებრიობა მიესალმება და მხარს უჭერს 1976 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად მოსკოვის კანდიდატურის წამოყენებას.



მოსკოვი. 1976 წელი...

ახალი ამბების სააგენტო კვლავ აქვეყნებს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელთა და გამოჩენილ სპორტსმენთა პასუხებს აან-ის კორესპონდენტთა შეკითხვებზე მომავალი ოლიმპიური თამაშების მასპინძლად მოსკოვის კანდიდატურის წამოყენების გამო.

აშვანი კუმარა — ინდოეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, ინდოეთის გალახის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტი.

— ჩვენს ოლიმპიურ კომიტეტს მოსკოვის კანდიდატურა ჯერ არ განუხილავს, მაგრამ პირადად მე მიმაჩნია, რომ ეს შესანიშნავი იდეაა.

მოსკოვში ამ ხუთი წლის წინ ვიყავი, როგორც ინდოეთის ელჩის სტუმარი. ვნახე საბჭოთა სტადიონები, რომლებიც მსოფლიოს სტანდარტების დონეზე დგანან. ვნახე მოსკოვის მეტრო — აქ ყოველგვარი შედარება და სტანდარტები უძლურია.

ვფიქრობ, რომ გულშემატკივრების — მწვრთნელთა და თვით ოლიმპიელთა არმიისთვის უაღრესად საინტერესო იქნება მოსკოვის — წამყვანი სპორტული სახელმწიფოს ცენტრის გაცნობა.

მე კარგად მახსოვს ეს მწვანე ქალაქი თავისი ყვავილებით, გაზონებით, ხეებით. ვფიქრობ, რომ მოსკოვში მოიძებნება კარგი ბალახის მინდორი, სადაც ჩვენი ბიჭები შეინარჩუნებენ ჰოკეჯოხების ვირტუოზთა სახელს.

შარანჟიტ სინგხი — ინდოეთის გალახის ჰოკეის ნაკრები გუნდის კაპიტანი.

— სავსებით ვეთანხმები კუმარას. მიმაჩნია, რომ ოლიმპიური სამკაულები მოსკოვს ძალიან მოუხდება.

ხოსე სანსი — მექსიკის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

— მიმაჩნია, რომ მოსკოვი შესანიშნავადაა მომზადებული 1976 წლის ოლიმპიური თამაშების ჩატარებისთვის. საბჭოთა კავშირში შარშან ივნისში ვიყავი და შემიძლია ვთქვა, რომ მოსკოვში არის შესანიშნავი თანამედროვე სასტუროები, აგრეთვე, პირველი კატეგორიის სპორტული ბაზები, რომლებიც ოლიმპიადის ჩატარებისთვის სავსებით გამოსადეგია.

რაულ კარდენასი — მექსიკის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი.

— საბჭოთა კავშირის სურვილი, რომ მოსკოვი ოლიმპიადის მასპინძელი იყოს, სავსებით სამართლიანად მიმაჩნია. ამ ქვეყანას შეუძლია კარგად ჩაატაროს ოლიმპიადა. საამისოდ მას აქვს ყველა ეკონომიური და ორგანიზაციული შესაძლებლობა, კარგი სპორტული ხაგებობები და სასტუროები. საბჭოთა კავშირში ვყოფილვარ. ჩვენ ვთამაშობდით მოსკოვში, ლენინგრადში, ვოლგოგრადში და დაგრწმუნდით, რაოდენ ძლიერია მოსახლეობის სპორტული სულისკვეთება.

მსოფლიო სპორტში საბჭოთა კავშირს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. ამ ქვეყნის წარმომადგენლებს ბევრი უმაღლესი ჯილდო აქვთ მიღებული საერთაშორისო შეჯიბრებებში. ვფიქრობ, სწორი იქნებოდა, თუ მოსკოვს 1976 წლის ოლიმპიადის ჩატარების უფლება მიეცემოდა.

გუსტავო პენა — ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების კაპიტანი.

— მოსკოვი ყოველმხრივ შესაფერისი კანდიდატურაა. ამ ქალაქში არის კარგად მოწყობილი და ტევადი სტადიონები. მე ვიცნობ მოსკოვის, ლენინგრადისა და სხვა ქალაქების სტადიონებს, სადაც ჩვენ გვითამაშია საბჭოთა გუნდებთან. ამას გარდა, მოსკოვს აქვს კარგი, თანამედროვე სასტუმროები, კარგადაა მოგვარებული ტრანსპორტის საქმე. მოსკოვის მეტრო, ჩემი აზრით, მსოფლიოში საუკეთესოა. ამას გარდა, საბჭოთა კავშირში არსებობს მაღალი სპორტული კულტურა და განსაკუთრებული ენთუზიაზმი ფეხბურთის პატივისცემის თვალსაზრისით.

ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ, რომ საბჭოთა კავშირი არის ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც საერთაშორისო შეხვედრებში ყველაზე ხშირად იღებს ოქროს მედლებს. ყოველივე ამის გამო მიმაჩნია, რომ მოსკოვი შესანიშნავი ადგილია 1976 წლის ოლიმპიადის ჩატარებისთვის.

თასის მფლობელი — პირველი

ვალ-გარდენა (იტალია), 11 თებერვალი. სპეციალური სლალომში შეჯიბრების დამთავრებას შემდეგ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მაძიებლებმა ერთ დღეს შეისვენეს, რომ გიგანტურ სლალომში საასპარეზოდ ძალა მოეკრიბათ და ისევ სარბიელზე გამოვიდნენ.

მსოფლიო თასის შარშანდელ გათამაშებაში გამარჯვებული კ. შრანცი (ავსტრია) სეზონს შოუმზადებელი შეხვდა. იგი მდგომარეობას თანდათან ასწორებს, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის პირველი სტარტისთვის საუკეთესო ფორმაში ჯერ კიდევ არ იყო და სპეციალურ სლალომში საპრიზო ადგილიც კი ვერ მოიპოვა.

კიდევ ორი დღე გავიდა და შრანცმა თავისი სიტყვა თქვა. გიგანტური სლალომის 1490-მეტრიანი ტრასა (სიმაღლეთა სხვაობა 447 მ) სამთომოთხილამურეებს ორჯერ უნდა გავლოთ (დიდ ოფიციალურ ტურნირებში ასეთი წესია). პირველ ცდაზე დისტანციაზე 6ª კარი მოაწყვეს, მეორე ცდაზე მას კიდევ 2 დაუმატეს. შრანცმა პირველივე ცდაზე ხელთ იგდო ლიდერობა — ყველაზე კარგი დრო აჩვენა. მაგრამ ავსტრიელი სპორტსმენი ამაო როდი დასჯერდა: მეორე ცდაზეც თავდაუზოგავად დაეშვა, ფინიშამდე უშეცდომოდ ჩაიქროლა, ორ ცდას 4.19,19 მოანდომა და ოქრო მოიპოვა.

ბრძოლის უშეღავათობას ისიც მოწმობს, რომ თანაგუნდელ ვ. ბლიაინერს პირველი ცდით შრანცმა სულ რაღაც 0,18 წამი მოუგო, საბოლოოდ კი 0,39 წამით აჯობა.

ბრინჯაოს მედალი მოიპოვა მსოფლიო თასის წლევანდელი გათამაშების ერთ-ერთმა ლიდერმა დ. ჯოვანიოლიმ (შვეიცარია) — 4.21,15.

ამრიგად, ორი სახეობის შემდეგ მთავარი მეტოქეები საფრანგეთისა და ავსტრიის სამთომოთხილამურენი აღმოჩნდნენ (გუნდურ ჩათვლაში გიგანტური სლალომი ავსტრიელებმა მოიგეს, სპეციალური სლალომი — ფრანგებმა), მაგრამ სამჭიდის პირად ჩათვლაში მაინც ფრანგები ლიდერობენ. ესენი არიან სპეციალურ სლალომში II ადგილზე გასული პ. რიუსელი და ა. პენეი. მათი თანაგუნდელი ჟ.-ნ. ოჟე, რომელმაც სპეციალურ სლალომში იმარჯვა, გიგანტურ სლალომში შედარებით წარუმატებლად გამოვიდა და საერთო ჯამში ექვსეულში ვერ მოხვედა.

სსრ კავშირის სპორტსმენებიდან ქვეყნის ჩემპიონი, მოსკოველი სტუდენტი ა. სელეზნიოვი, რომელმაც „სეზონის“ ოფიციალურ ჩათვლაში XX ადგილი დაიკავა, გიგანტურ სლალომში 46-ე ნომრით ასპარეზობდა. საბოლოოდ მან 4.42,5 აჩვენა და 48-ე ადგილზეა, თუმცა ვ. მელნიკოვს (59-ე ადგილი) ახლაც აჯობა: 5,9 წამი მოუგო.

ეროვნული ნაკრები

ᲧᲐᲠᲯᲚᲘ ᲧᲐᲯᲔᲑᲘ

● **ხარკოვი**, 12 თებერვალი. უკრაინელმა მოფარიკაველებმა აქ გათამაშეს პ. ზაკოვორატის თასი. რაპირისტ ვაუთა შეჯიბრებაში სსრ კავშირის ნაკრების 8 კანდიდატი გამოდიოდა. გაიმარჯვა კიეველმა პ. ლებოვიჩმა. რაპირისტ ქალებში ყველას აჯობა დნეპროპეტროვსკელმა ო. დანილიევამ. მის თანაქალაქელს ვ. კაიდანოვიჩს ტოლი არ ჰყავდა ხმლით მოფარიკაველთა შორის. დაშნით ფარიკაობაში გაიმარჯვა კიეველმა ს. პარამონოვმა. გუნდურ ჩათვლაში საუკეთესონი იყვნენ დნეპროპეტროვსკელები.

● **მოსკოვი**, 12 თებერვალი. ცსკა-ს ფრენბურთელ ქალთა გუნდმა დღეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების განმეორებით მატჩშიც დაამარცხა ბერლინის „დინამო“. შეხვედრის ანგარიშია 3.0 (15:8, 15:1, 15:9). ამრიგად, ცსკა მეოთხედფინალში გავიდა და გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ დაწესებული თასისთვის — „დიდი კრისტალისთვის“ განაგრძობს ბრძოლას. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიდგზის ჩემპიონი „დინამო“ წლევანს ძალიან განახლებული შემადგენლობით ასპარეზობს. ვეტერანები შეცვალეს ახალგაზრდებმა, რომელთა შორის 7 სპორტსმენი 20 წლისაც არ არის. დინამოელები დიდი მონდომებით იცავდნენ თავს, მაგრამ ცსკა-ს ძლიერ თავდასხმასთან ვერაფერი გააწყვეს. ახლა მეოთხედფინალში მოსკოვის არმიელები ბულგარეთისა და თურქეთის ჩემპიონთა შორის გამარჯვებულს ეთამაშებიან. „სოვეტსკი სპორტის“ თასისთვის ბრძოლას განაგრძობენ მისი მფლობელები — მოსკოვის დინამოელებიც, რომლებიც იტალიელებთან ორჯერ გამარჯვების წყალობით უკვე გავიდნენ მეოთხედფინალში.

● **დასავლეთ ბერლინი, 12 თებერვალი.** მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფრენბურთელმა ვაჟებმა აქ ორი შეხვედრა გამართეს ადგილობრივ გუნდთან და ორივეჯერ კრთნაირი ანგარიშით (3:0) გაიმარჯვეს.

● **ბუდაპეშტი**, 12 თებერვალი. ფაშისტური უღლისგან უნგრეთის დედაქალაქის გათავისუფლების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში ლიდერთა ტრიუმვირატი 4 ტურის შემდეგ დაიშალა: მეწინავეებად კვლავ დარჩნენ უნგრელი დიდოსტატები ლ. პორტიში და ლ. საბო (3,5-3,5 ქულა), საბჭოთა დიდოსტატი ბ. კერესი კი მათ „ნახევარი ნაბიჯით“ ჩამორჩა. მაგრამ კერესს შეუძლია არა მარტო დაეწიოს ორივე დაწინაურებულს, არამედ გაუსწოროს კიდეც (მან ბულგარელი ი. რადულოვთან ჭადაო პარტია). III ტურში კერესმა დაამარცხა ვ. იანსა (ჩეხოსლოვაკია), ი. ავერბახმა და ა. სუეტინმა ერთმანეთთან შეხვედრა ჯერ გადადეს, მერე კი დაზავდნენ. ასევე ზავს მოაწერა ხელი რ. ხოლმოვმა იუგოსლავიელ ბ. იკოვთან. პორტიშმა მოუგო რუმინელ ფ. გეორგიუს, საბომ — უნგრელ მ. კოვაჩს. IV ტურში ავერბახმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა იანსასთან, ხოლმოვმა კი უნგრელ ა. აღორიანთან. ახლა ავერბახს 2 ქულა აქვს, სუეტინს — 1,5, ხოლმოვს — 1. დღეს მონაწილენი ისვენებენ, პარასკევს კი გაიმართება V ტური. ტურნირში 10 დიდოსტატი, 5 საერთაშორისო ოსტატი და 1 ეროვნული ოსტატი თამაშობს.

იაპონელები ემზადებიან

იაპონიის ფრენბურთის ფედერაციამ უცხოეთის ნაკრებ გუნდებთან ანხანაგური შეხვედრების ვრცელი პროგრამა გამოაცხადა. ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლები დაახლოებით 30 მატჩს გამართავენ.

როგორც ცნობილია, იაპონიის ვაჟთა ნაკრები მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი და მსოფლიო თასის შარშანდელი გათამაშების II ადგილის მფლობელია. ქალთა გუნდმაც ვერცხლი მოიპოვა მეხიკოში — პირველობა საჰოთა ნაკრებს დაუთმო.

წლევანდელი გეგმების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იაპონელებს გაძლიერებული მზადება გადაუწყვეტიათ მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც ამ შემოდგომით გაიმართება. მათ ოქროს მედლების მოხვეჭა დაუსახავთ მიზნად.

მაისის დამლევს სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები იაპონიაში ექვსმატჩს ჩაატარებს. იმავე დროს ამომავალი მზის ქვეყანაში საბჭოთა ფრენბურთელი ქალებიც იასპარეზებენ.

იაპონელებს ესტუმრებიან, აგრეთვე, ბულგარეთის, პოლონეთის, ბრაზილიისა და სამხრეთ კორეის გუნდები.

შუა ზაფხულში იაპონიის ნაკრები გუნდები თავად გაეშურებიან ევროპაში ტურნეს გასამართავად. ისინი საბჭოთა ქვეყნის სტუმრებიც იქნებიან.



ჩელიაბინსკში ოთხ დღეს მიმდინარეობდა წყალში მხტომელთა საკავშირო ჩემპიონატი. პროგრამაში იყო ერთმეტრიანი ტრამპლინიდან და ხუთმეტრიანი კოშკიდან ხტომა. პირველ სახეობაში იმარჯვეს ვ. ვასინმა და თ. ფედოსოვამ (ორივე — მოსკოვი). ნ-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში საუკეთესონი იყვნენ ერევნელი ვ. სარიბეკიანი და მინსკელი ნ. ვიროჩკინა. ორჭიდში (ერთმეტრიანი ტრამპლინი და ხუთმეტრიანი კოშკი) ყველას აჯობებს ვასინმა და ნ. ტრუბოჩნიკოვამ (მოსკოვი).

• • •

სურათზე: სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. ვასინი ხტომისას.

ფოტო ე. ტკაჩენკოსი.
(„კომსომოლსკაია პრავდა“).

შტანგა ტალღებზე

ეს ადგილი ყველა თევზსაჭერ ტრაულერ „სუიფუნზე“ ყველაზე ხალხმრავალია. აქ თავს იყრის მთელი ეკიპაჟი, თითქოს რაღაც მაგნიტი იზიდავთო.

— მომე, ერთი, ვსინჯო!

— აბა, ცოტაც დაუმატე!

— ხედავთ, რა ღონიერია!

ფიცარნაგზე დაეარდნილი შტანგის ხმა შორს ისმის ზღვაში.

მეთევზეებმა მსხვილი მორებისგან საკუთარი ხელით დაამზადეს ფიცარნაგი და შტანგაც თვითონ გააკეთეს.

ვინც იცნობს მეთევზეთა შრომას, ალბათ გაუკვირდება: საღა აქვთ მათ დრო დამქანცავი შრომის შემდეგ, ან ვახტებს შორის მცირე შესვენებისას ივარჯიშონ სიმძიმეების აწევაში? 6 საათი ვახტი, 6 — დასვენება, და სულ ასეა, როცა თევზის ჭერაა. სადაა აქ დრო წვრთნისა და სპორტისთვის?.. „სუიფუნზე“ ასე ბევრი ფიქრობდა ადრე.

...ახალგაზრდა მოტორისტი ვ. სალიუკი გემზე მაშინ მოვიდა, როცა ხომალდი შესაკეთებლად იდგა და ზღვაში გასასვლელად ემზადებოდა. ერთხელ მექანიკოსმა სალიუკს დაუძახა და სთხოვა:

— დაუძახე ვინმეს სამანქანო განყოფილებიდან. ორმა წაიღეთ ამოაკანი ბალონი საცავში.

— რად მინდა სხვისი დაძახება, თვითონ წავიღებ, — უპასუხა ვლადიმერმა, წყნარად გაიდო ბალონი თუმცა შტანგამ ასე უცებ ვერ მოიკიდა ფეხი ტრაულერზე. მეტისმეტად მკაცრი ჩანდა „მწვრთნელის“ მოთხოვნა: ემეცადინა სრულ 2 საათს. ასეთმა ნორმამ ზოგიერთები დააფრთხო კიდეც.

მაგრამ სალიუკი არ თმობდა. მხარზე და წაიღო. ყველამ, ვინც ამას უყურებდა, პირი დააღო გაოცებისგან: ბალონი თითქმის 100 კილოგრამს იწონიდა. იგი მუდამ ორ კაცს გადაჰქონდა ხოლმე.

გამოირკვა, რომ სალიუკი ძალოსანი ყოფილა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი. სპორტული წრთობა მან ხმელეთზე მიიღო — ნახოდკაში. თევზჭერის პირველივე დღეებიდან სალიუკი სექციის შექმნას შეუდგა. აი, მაშინ გააკეთეს გემბანზე ფიცარნაგი, თანდათან იქმნებოდა სექციის ბირთვი. ყველაზე დიდი ენთუზიასტები აღმოჩნდნენ შტურმანები ი. ივანოვი და ნ. სანიკოვი, თევზჭერის ოსტატი ვ. ლობინცევი, უფროსი მექანიკოსი ა. ლომანოვი — ახალგაზრდა, მკლავმაგარი ბიჭები. მთელი ეკიპაჟი გულმოდგინედ ადევნებდა თვალს ძალოსანთა წარმატებებს. ეს წარმატებები კი თვალსაჩინო იყო. ლომანოვი მალე შესამე თანრიგს მიუახლოვდა, ლობინცევი კი პირველს.

„სუიფუნის“ კაპიტან-დირექტორი ბ. ოლეშკევიჩი კმაყოფილებით გვიამბობს სპორტსმენებზე:

— რასაკვირველია, ზღვაში ძალიან დაძაბული დღეებიც გვაქვს ხოლმე. მაშინ ვარჯიშს ვწყვეტთ, მაგრამ ფიცარნაგი ენატრებათ მეზღვაურებს. სპორტის წყალობით უფრო გამოიკვეთა ახალგაზრდა მეთევზეთა ხასიათები და თვისებები. განსაკუთრებული ქების ღირსია ვლადიმერ სალიუკი, როგორც სპეციალისტი და როგორც ადამიანი. მაგრამ ესაა, რომ სალიუკი წავიდა ჩვენგან — ახლა ინდოეთის ოკეანეში მუშაობს საბაზო ხომალდ „სვეტლი ლუჩზე“. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ახლა იქაც ხმაურობს შტანგა ტალღებზე.

— „სუიფუნზე“ ვინ შეცვალა იგი?

— უფროსმა მექანიკოსმა ლომანოვმა. და, უნდა გითხრათ, საკმაოდ კარგად ერთმევა თავს საქმეს.

ა. პაპეტა.
(საკდენის კორ.).

ნახოდკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ საფეხურზე

ყოველი ახალი წლის დასაწყისში „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი განიხილავს და ამტკიცებს ამ საზოგადოების აგიტაციისა და პროპაგანდის სექციის მიერ წარდგენილ მორიგ საშუშაო გეგმას. წლეულსაც ასე მოხდა.

ალბათ არ არის „განთიადის“ არც ერთი ფიზკულტურის კოლექტივი, სპორტული კლუბი თუ საბჭო, რომელიც წლეულს თავის მიღწევებსა და მუშაობას ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს არ უძღვნიდეს. იუბილეს ეძღვნება მასობრივი შეჯიბრებები, შეხვედრები სპორტისა და შრომის ვეტერანებთან, სპეციალური სტენდები...

მოწინავეთა მუშაობის გამოცდილების შესწავლა და პოპულარიზაცია, აგიტაციო-პროპაგანდის დონის ამაღლება, — ასეთია წითელი ხაზი სექციის მუშაობისა, რომლის გეგმაც მოიწონა და დამტკიცა „განთიადის“ ხელმძღვანელობამ.

დიდი ყურადღება ეთმობა ზეპირ პროპაგანდას. ლექციები, მოხსენებები და საუბრები ჩვეულებრივ, ყოველდღიურ საქმედ უნდა იქცეს. ამ საქმეში მარტო საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორები როდი იქნებიან გამოყენებული. მივიზიდავთ საუკეთესო სპორტსმენებსა და ვეტერანებს, „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს ინსტრუქტორებს. ჩვენს რესპუბლიკაში სხვადასხვა ქალაქიდან ჩასასპარეზოდ ჩამოსული სპორტსმენები საწარმოებისა და დაწესებულებების ფიზკულტურელებსაც უჩვენებენ თავიანთ ოსტატობას.

სამუშაო გეგმაში ერთი სიახლეა: განხრახულია მოეწყოს საფაბრიკო-საქარხნო მრავალტირაჟიანი გაზეთების საკონკურსო გამოფენა. ამ ღონისძიების მიზანია გამოვავლინოთ „მიკროგაზეთი“, რომელიც ყველაზე უკეთ აშუქებს ფიზიკური კულტურის, სპორტის, გამაჯანსაღებელი მუშაობის, საწარმოო ტანვარჯიშის, სპორტის აგიტაციისა და პროპაგანდის საკითხებს.

კონკურსის ჩატარება პრესის დღესაა განზრახული. გამარჯვებულებს ელით სპეციალური პრიზები და სიგელები.

ჩვენს დროში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასობრივ-გამაჯანსაღებელ საქმიანობას. ამიტომ სექცია აპირებს ჩაატაროს საგანგებო დათვალიერება-კონკურსი ამ მხრივ საუკეთესოთა გამოსავლენად. მონაწილენი დაყოფილი იქნებიან ჯგუფებად: სპორტსაზოგადოებათა საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოებისა და ფიზკულტურული კოლექტივების მიხედვით.

უკვე დამტკიცდა და მოსკოვის ქარხნებს შეუკავშირეთ ახალი სამკერდე ნიშანი: „სპორტსაზოგადოება „განთიადის“ აქტივისტი“. საზოგადოების პრეზიდიუმი ამ სამკერდე ნიშანს გადასცემს შტატიან და საზოგადოებრივ მუშაკებს, რომლებიც თავს გამოიჩენენ ფიზკულტურის მასობრიობისა და ოსტატობის ზრდისთვის ბრძოლაში.

სექციის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულია საგაგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის დონის შესწავლა აფხაზეთის საოლქო, ქუთაისის საქალაქო და ზოგიერთ რაიონულ საბჭოში. ადგილებზე მდგომარეობის შესწავლის შემდეგ საკითხს მოისმენს „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

სამუშაო გეგმით გათვალისწინებულია „ტრადიციული“ საკითხებიც. ესაა „თვალსაჩინო აგიტაციის გაუმჯობესება სპორტბაზებზე, განსაკუთრებით, შეჯიბრებების დღეებში, სპორტსმენთა დაჯილდოების ცერემონიალის საათანადოდ მოწყობა, მაყურებლებთან მუშაობის, თვით შეჯიბრებათა სანახაობრივი მხარის გაუმჯობესება და სხვ.

მარტში გათვალისწინებულია ჩატარდეს სემინარი სექციის აქტივისტებისთვის. ცოტა გვიან მოეწყობა სემინარი თბილისის მსხვილი კოლექტივების კედლის გაზეთების რედაქტორებისთვის.

ფიზიკური კულტურის აგიტაცია და პროპაგანდა მნიშვნელოვანი, სერიოზული საქმეა, რომელსაც თავისი განსხვავებული ფორმები და თავისებურებები აქვს. საზოგადოებრივი ინიციატივის განვითარება, უურადღების გამახვილება მუშაობის ყველაზე საპასუხისმგებლო უბნებზე, — ასეთია დღეს ჩვენი ამოცანა.

ბ. კოვალიოვი,
„განთიადის“ ცენტრალური საბჭოს აგიტაციისა და პროპაგანდის სექციის თავმჯდომარე.

ეროვნული ფარიკაობა „ლელოს“ რედაქციაში

გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზე ამ ბოლო ხანს ხშირად იბეჭდება წერილები ქართული ფარიკაობის საჭირბოროტო საკითხებზე. ამ წერილების მიზანია ეროვნული ფარიკაობის კარგი ტრადიციების აღდგენა და მისი ხელახალი აღორძინება. წერილების ავტორები არიან ფარიკაობის სპეციალისტები — მწვრთნელები, სპორტსმენები და სპორტის ამ სახეობის მოყვარულები. ფარიკაობა სპორტის ერთ-ერთ პოპულარულ და ურთულეს სახეობათა რიცხვს განეკუთვნება, ამიტომ მის პრობლემატურ საკითხებზე სჯა-ბაასს დიახაც, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამ წერილებმა სპორტული საზოგადოებრიობის უურადღება მიიქცია. მართლაც, რატომ უნდა იდგეს ფარიკაობა სპორტის ჩამორჩენილ სახეობათა შორის, როცა საქართველოს სამართლიანად მიიჩნევენ მოფარიკავეთა რესპუბლიკად? ეს ლიტონ განცხადებად რომ არ დარჩეს, საკმარისია ითქვას, ფოლადის იარაღის რამდენი შესანიშნავი ოსტატი გამოუზრდია ჩვენს რესპუბლიკას. მათი სახელების ჩამოთვლა შორს წაგიყვანდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველ კაცს განსაკუთრებით ეხერხება და უყვარს ფარიკაობა, რომელიც სპორტსმენისგან მოითხოვს ტემპერამენტს, სისწრაფეს, ჩქარი რეაქციისა და ორიენტაციის უნარს, ვაუკაცურ შემართებას. მით უფრო საწყენია, რომ ბოლო წლებში ქართველი მოფარიკავეები უზეიროდ გამოდიან როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო სარბიელზე.

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ, ნუ მოვერიდებით ამ სიტყვას, სავალალო მდგომარეობას ვერ აუმჯობესებს ნორჩი ქართველი მუშაკტერენისა და ცალკეულ სპორტსმენთა წარმატებები. ერთეული მოფარიკავეები ამინდს ვერ ქმნიან, რადგან ფარიკაობის კლასიფიკაცია გულისხმობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტოტალურობას. გარდა ამისა, იუნიორებს დღესდღეობით არ შეუძლიათ გასწიონ ის ბაპანი, რომელიც უფროს, გამოცდილ თაობას აწევს. აქედან დასკვნა: ჯეჭილი ჯერ კიდევ არ არის პური, ესე იგი ქართულ ფარიკაობას აკლია „პური ჩვენი არსობისა“.

ქართველი მოფარიკავეების ადრინდელმა გამარჯვებებმა სპორტულ საზოგადოებრიობაში ერთგვარი თვითკმაყოფილებისა და იდილიის გრძნობა წარმოშვა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდა, რომ საქმე ისე არ არის, როგორც მანამდე ვფიქრობდით: თანდათან დავთმეთ ადრე მოპოვებული პოზიციები.

ამ დროს კი რა ხდებოდა საფარიკაო სამყაროში? იმ მოკავშირე რესპუბლიკათა მოფარიკავეებმა, რომლებსაც თავის დროზე სერიოზულ მეტოქეებად არც მივიჩნევდით, საგრძნობლად აიმაღლეს კლასი. ძალთა საერთო თანაფარდობა ჯერ გაუტოლდა, ბოლო შემდეგ კი ჩამოვრჩით. ჩვენმა გამარჯვებებმა იკლო.

ამისთვის სერიოზული უურადღება არ მიგვიქცევია, რადგან ქართველ მოფარიკავეთა თითოეულობა „დელეგატი“ კვლავინდებურად კარგად ასპარეზობდა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში (გავიხსენოთ, თუნდაც, ნ. ასათიანის, გ. კოსტავას, მ. სახვაძის, ი. ოსიპოვისა და სხვათა წარმატებები).

რაოდენ უცნაურადაც უნდა ეღერდეს, ამ გამოჩენილ სპორტსმენთა გამარჯვებებმა, ასე ვთქვათ, ცუდი სამსახური გაუწია, საერთოდ, ქართულ ფარიკაობას. პარადოქსია? პარადოქსია, მაგრამ ფაქტია. თვითკმაყოფილებამ რომელიღაც მომენტში შეგვიქმნა ქართული ფარიკაობის უძლეველობის ყალბი ილუზია, რამაც გამოიწვია სიფხიზლის მოდუნება, საფარიკაო ელიტასა და მოფარიკავეთა დანარჩენ მასას შორის კავშირის შესუსტება. ამას მოჰყვა საერთო კლასის დაქვეითება.

ერთ პერიოდში ქართული ფარიკაობა დაემსგავსა ანთეოსს, რომელიც მაცოცხლებელ ნიადაგს მოწყდა და აი, შედეგი: 1969 წელი აღმოჩნდა ყველაზე უფერული სეზონი, რომელიც კი გვახსოვს. ავად მოსაგონარია ჩვენთვის კადიეკის საკავშირო ტურნირი. ამ შეჯიბრებამ უკვე საბოლოოდ დაადასტურა ზოგიერთი „პესიმისტის“ მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ქართულ ფარიკაობაში ყველაფერი რიგზე არ არის. სამწუხაროდ, ამ უმცირესობის შეხედულებებს გამართლება ეწერათ. სწორედ ამ ტურნირის შემდეგ „ლელოს“ ფურცლებზე დისკუსიის წესით გამოქვეყნდა წერილები, რომლებშიც ავტორები გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს ქართული ფარიკაობის პრობლემატურ საკითხებზე. მართალია, წერილების ერთი ნაწილი „ცხელ გულზე“ იყო დაწერილი, მაგრამ ყველა მათგანში გამოითქვა საყურადღებო შეხედულებანი.

ამდენად, თავისებურ შემაჯამებელ შეკრებად შეიძლება ჩაითვალოს ფარიკაობის სპეციალისტების — მწვრთნელების, სპორტსმენებისა და პრესის წარმომადგენელთა გაერთიანებული სხდომა, რომელიც ამას წინათ გაზეთ „ლელოს“ რედაქციაში გაიმართა. ეს, ფაქტიურად, ფარიკაობის რესპუბლიკური ფედერაციის სხდომა იყო.

მონაწილეთა უმრავლესობამ საამართლიანად მიიჩნია პრესაში გამოთქმული შენიშვნები ფარიკაობის ჩამორჩენისა და მისი აღმოფხვრის თაობაზე. აღინიშნა, რომ ბოლო წლებში ქართველ მოფარიკავეთა ოსტატობა საგრძნობლად დაქვეითდა და მისი დღევანდელი განვითარება ვეღარ უპასუხებს თანამედროვე ფარიკაობის დონეს. საკმაოდ მოიკოჭლებს მწვრთნელთა და მსაჯთა კვალიფიკაცია.

საგრძნობლად მოისუსტებს აღმზრდელობითი მუშაობა მოფარიკავეთა შორის (ამ ბოლო დროს შეჯიბრებისა და წვრთნის პროცესში შეიმჩნევა აღმაშფოთებელი შემთხვევები: სპორტსმენები, თქვენ წარმოიდგინეთ, იუნიორებიც კი, ეწევიან თამბაქოს, არღვევენ სპორტულ ეთიკეტს და საერთოდ, სპორტსმენისათვის აშკარად შეუფერებლად იქცევიან). საწყენია, რომ ყოველივე ამას მეტწილად გულგრილად შეჰყურებენ ისინი, ვისაც მინდობილი აქვს ჩვენი მომავალი თაობის აღზრდის საქმე.

მოუგვარებელია თაობათა ცვლის საკითხიც. ამან გამოიწვია დასანანი წარუმატებლობანი საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ხსრ კავშირის მოზრდილთა ნაკრებში მხოლოდ ორი კანდიდატი (მ. სახვაძე, ა. გაგულაშვილი) გვყავს. ეს მაშინ, როცა წინა წლებში ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის ათობით კანდიდატს ვითვლიდით.

სერიოზული მსჯელობის საგანი გახდა, აგრეთვე, ჩამორჩენის გამომწვევი მიზეზების ანალიზი. კერძოდ, აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მოფარიკავეებს წვრთნისა და შეჯიბრების ნორმალური პირობები დღემდე არ გააჩნიათ. რაც შეეხება სპორტულ ინვენტარს, მის ნაკლებობას განიცდიან არა მარტო რიგითი მოფარიკავეები, არამედ რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრებიც.

სხდომაზე გულისტკივილით აღინიშნა ისიც, რომ მკვეთრად დაქვეითდა რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების სპორტსმენთა ოსტატობა, რასაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ ზემოჩამოთვლილი მიზეზები.

სხდომის მონაწილეებმა მკაცრად გააკრიტიკეს საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის ხელმძღვანელების უხერხემლო მუშაობა. მათი მისამართით კრიტიკული შენიშვნები გამოთქვეს რესპუბლიკის მთავარმა მწვრთნელმა შ. დარახელიამ, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელებმა ხ. საყვარელიძემ (ზესტაფონი), ა. ფიოდოროვმა, ტ. მესხმა, ა. მეიფარიანმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ო. ისლამოვმა, მწვრთნელებმა ო. დიდებულიძემ, რ. გოშაძემ, სპორტის ოსტატებმა მ. სახვაძემ, შ. სულამანიძემ და სხვ.

მიღებულ იქნა დადგენილება, რომელიც ასეთ პუნქტებს შეიცავს:

1. გადახალისდეს რესპუბლიკის ფარიკაობის ფედერაციის შემადგენლობა;

2. მწვრთნელთა და მსაჯთა კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების მიზნით სისტემატურად მოეწყოს შეკრება-სემინარები;

3. ეთხოვოს საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს დახმარება გაუწიოს რესპუბლიკის ფარიკაობის ფედერაციას სპორტბაზებისა და ინვენტარის მოწესრიგებაში;

4. განსაკუთრებული უურადღება მიექცეს მოფარიკავეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას;

5. ქართველ მოფარიკავეთა ოსტატობის ამაღლების მიზნით გახშირდეს სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებები.

იმედია, რომ ამ დადგენილების განხორციელება ხელს შეუწყობს ქართული ფარიკაობის კარგი ტრადიციების აღდგენასა და შემდგომ განვითარებას.



საწვრთნელი მატჩი

12 თებერვალს რუსთავში გაიმართა ადგილობრივი „მეტალურგისა“ და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდების საწვრთნელი მატჩი.

შეხვედრა მოიგეს დინამოელებმა — 1:0. ეს ერთადერთი გოლი გაიტანა გავაშელმა.

დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ურუშაძე, კანთელაძე, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, მაჩაიძე (ილიადი), ბურჯანაძე, მეტრეველი, გავაშელი, ლ. ნოდია.

გორელთა გამარჯვება

ოჩამჩირე, 13 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ქალაქის სტადიონზე გუშინ გაიმართა საწვრთნელი მატჩი აქ სავარჯიშოდ მყოფ ოსტატთა გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ორჯონიკიძის „სპარტაკი“ და გორის „დინამო“.

გორელებმა საუცხოოდ ითამაშეს და დაამარცხეს უმაღლესი ლიგის დებიუტანტი — 2:0. პირველი ბურთი 30-ე წუთზე გაიტანა ეზუბაიამ, ხოლო შესვენების შემდეგ პაპიაშვილმა ზუსტად დამთავრა თავისი გუნდის ერთ-ერთი იერიში.

რ. ჯედია.

მეექვსედ

გაიმართა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ტურნირები მაგიდის ჩოგბურთსა და კალათბურთში.

მაგიდის ჩოგბურთში შეჯიბრება ორ ჯგუფად ჩატარდა. ჩემპიონობა მეექვსედ მოიპოვა სურამის მე-2 საშუალო სკოლის კოლექტივმა. II ადგილზეა ხაშურის რკინიგზის მე-4 საშუალო სკოლა, III — სურამის 1-ლი სკოლა. პირადპირველობაში ყველას აჯობებს ნაილე ტურაშვილმა და თ. გუჯეჯიანმა.

კალათბურთში ჩემპიონები გახდნენ ხაშურის რკინიგზის მე-3 საშუალო სკოლის გოგონებისა და სურამის მე-2 საშუალო სკოლის ჭაბუკთა გუნდები. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ხაშურის რკინიგზის მე-5 საშუალო სკოლისა და ხაშურის 1-ლი საშუალო სკოლის გოგონათა და ხაშურის რკინიგზის მე-3 და სურამის 1-ლი საშუალო სკოლის ჭაბუკთა გუნდები.

ზ. ბოსეშვილი.
(ჩვენი კორ.).

ხაშური.

...ეკონომიკურ ...

სოხუმი

მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთაგან შემდგარმა საფეხბურთო კოლექტივმა ორი ამხანაგური მატჩი გამართა თეატრის მუშაკთა გუნდთან და გაზეთების რედაქციების თანამშრომელთა ნაკრებთან. ინსტიტუტის წარმომადგენლებმა ორივე შეხვედრა მოიგეს.

დ. ზონია.

გარდაბანი

თბილსრესის ფიზკულტურულ კოლექტივს მეგობრული ავდარი აქვს დაშყარებული სომხეთის ქალაქ დილიჟანის ქარხანა „იმპულსის“ ფიზკულტურულ კოლექტივთან. ჩვენ ხშირად ვაწყობთ ერთმანეთთან სამატჩო შეხვედრებს. ორჯერ გავმართეთ შეჯიბრებები ფეხბურთში, ფრენბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში. როგორც სტუმრობისას, ისე მასპინძლობისას თბილსრესელებმა ხელბურთსა და ფეხბურთში იმარჯვეს, ხოლო მაგიდის ჩოგბურთში წარმატება დილიჟანელებს ხვდათ.

ვ. ჯანეზაშვილი,
თბილსრესის ფიზკულტურის ინსტრუქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რეი რობინსონი

... ამ მეტოქეს კასიუს კლეი

1964 წლის დასაწყისი კრივის მოყვარულებს იმით დაამახსოვრდათ, რომ ყველა გაზეთი კასიუს კლეის განცხადებებით იყო აჭრელებული. კლეი წერდა, რომ იგი უდიდესია იმ მოკრივეებს შორის, რომლებიც ოდესმე გამოსულან რინგზე, და რომ ის უეჭველად დაამარცხებდა მაშინდელ მსოფლიო ჩემპიონს მძიმე წონაში სონი ლისტონს შეხვედრაში, რომელიც 25 თებერვალს უნდა ჩატარებულიყო მაიამი ბიჩში. ვფიქრობ, ჩემს მეტს ეს განცხადებები სერიოზულად არავის მიუღია. კლეის სიტყვები მეტოქის დასაფრთხობად მოგონილი მორიგი ტრიუკი ეგონათ. მაგრამ სპორტსმენის შესაძლებლობებს, რასაც შეეძლო ეს განცხადებები რეალურად ექცია, ჩემზე უკეთ არავინ იცნობდა. დღეს, როცა კასიუსზე ვესაუბრები რომელიმე ჩემს მეგობარს, 1960 წლის ზაფხულის ერთი დღე მაგონდება. მე მანქანით მივადექი ჭალაქგარეთ და ის იყო გადმოვედი, რომ ვიღაც ლამაზი, გამხდარი, მაგრამ ჩასხმული ასალგაზრდა მანქანისკენ გამოემართა. იგი ცოტა მოშორებით გაჩერდა და მორიდებით იკითხა.

— მისტერ რობინსონი ბრძანდებით?

— დიახ, შვილო, — მივუგე მე. — რაშია საქმე?

— მისტერ რობინსონ, თქვენ ალბათ არ მიცნობთ. ხვალ მე რომს მივემგზავრები.

— ძალიან სასიამოვნოა. რომი მშვენიერი ქალაქია.

— მე ოლიმპიურ თამაშებზე მივდივარ, — განაგრძო მან. — შეკრთებული შტატების ოლიმპიურ ნაკრებ გუნდში შემიყვანეს. გადაწყვეტილი მაქვს ოქროს მედალი მოვიპოვო.

— წარმატებას გისურვებთ!

— მე კასიუს მარცელიუს კლეი ვარ, — მითხრა მან.

— კასიუს ვინაო, როგორა თქვით?

— კასიუს მარცელიუს კლეი მეორე. ლუზვილიდან გახლავართ, კენტუკიდან. თქვენ უდიდესი ხართ მოკრივეთა შორის, მისტერ რობინსონ, თქვენ ჩემი კერპი ხართ.

— მადლობელი ვარ, შვილო.

— ოლიმპიადის შემდეგ პროფესიონალებში გადავალ და ძალიან მინდა, რომ ჩემი მწვრთნელი თქვენ იყოთ.

— მაგრამ... — დავიწყე მე.

— თქვენ უდიდესი ხართ მოკრივეთა შორის და თუ ჩემი მწვრთნელი გახდებით, მასწავლით ყველაფერს, რაც პროფესიონალმა უნდა იცოდეს. აი, რატომ მოვედი აქ რომში გამგზავრების წინ. სამ საათს ვიცადე, რათა მენახეთ.

— სამ საათს? ჩემს სანახავად?

— დიახ, მისტერ რობინსონ. მე მინდა, რომ ჩემი მწვრთნელი გახდეთ.

— კი მაგრამ, ეს შეუძლებელია.

— მე ხომ ახლავე არ გთხოვთ, მე მინდა ჩემი მწვრთნელი გახდეთ ოლიმპიური თამაშების შემდეგ, როცა პროფესიონალებში გადავალ.

— არა, თქვენ ვერ გამიგეთ.

— რა ვერ გაგიგეთ?

— მე თქვენი მწვრთნელი ვერ გავხდები, რადგან თავად გამოვდივარ რინგზე და ეს მთელ დროს მართმევს. ამ ორი სამუშაოს შეთავსება არასგზით არ შემიძლია.

— კრო, — თქვა მან ნაღვლიანად.

— დარწმუნებული ვარ, რომ კარგი მოკრივე იქნებით, — ვუთხარი მე, რათა გამემხნევებინა, — მაგრამ სანამ სარბიელზე გამოვდივარ, სამწუხაროდ, თქვენი მწვრთნელი ვერ გავხდები.

— მესმის, — მიპასუხა მან.

— წარმატებას გისურვებთ რომში.

— მადლობელი ვარ, მისტერ.

იგი შებრუნდა და წავიდა. თვალი გავაყოლე. ის გაჩერდა. მე სული დავუქნიე და დავინახე, როგორ გაიღიმა პასუხად.

— თუ ამ ბიჭს მუშტიც ისე უჭირის, როგორც ენა, იცოდეთ, არ დაიკარგება, — ვუთხარი ვიღაცას.

და მალე კლეიმ დაამტკიცა ამ სიტყვების ჭეშმარიტება — ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა. შემდეგ იგი პროფესიონალებში გადავიდა და კვლავ დაუმარცხებელი იყო. კლეი ხშირად მირეკავდა, მიამბობდა თავის მომავალ შეხვედრებზე, მომავალ მეტოქეებზე, მიამბობდა, როგორ ცდილობდა ჩემთვის მოებაძა. „თქვენ მეფე ხართ, რინგის მეფე ხართ, ჩემი კერპი ხართ“, — ამბობდა იგი. მალე კლეის პორტრეტების ბეჭდვა დაიწყო ყველა გაზეთმა, სხვადასხვა ჟურნალის რეპორტიორები ინტერვიუს სთხოვდნენ. მაგრამ ეს წარმატება კლეის მარტო მუშტების წყალობით არ მოუპოვებია. ყოველი მატჩის წინ იგი აცხადებდა: ჩემს მეტოქეს ცხვირ-პირს ამოვუნაყავ, ვაიძულებ პირდაპირ რინგზე სთხოვოს შეწყალება „დიდ“ კასიუსსო. ეს განცხადებები მაყურებელთა შორის ნაკლებ ინტერესს როდი იწვევდა.

— გამიგონე, კასიუს, — ვუთხარი ერთხელ ხუმრობით, როცა მორიგი ორთაბრძოლის წინ დამირეკა. — ეს რაღა გამოდის, აკი ამბობდი, თითქოს მე ვარ ყველაზე „დიდი მოკრივეთა შორის?“

— მე ამას არ უარვყოფ. მთელი ეს ტრაპახი მხოლოდ იმისთვის მჭირდება, რომ მაყურებელმა შემნიშნოს, წარმოიდგინეთ, ეს ხერხი ძალიან მეხმარება.

1963 წლის გაზაფხულზე კლეი დოჯონსს უნდა შეხვედროდა, მაგრამ ვარჯიშის მაგიერ დროის უმეტეს ნაწილს რეპორტიორთა შორის ატარებდა, თავს იქებდა და მეტოქეს მიწასთან ასწორებდა. გადავწყვიტე მოვლაპარაკებოდი.

— აბა რა ვქნა? — მკითხა მან.

— შენ გჭირდება კაცი, რომელიც ყურადღებას მოგაქცევს. მე ვიცნობ ასეთ კაცს. ესაა დრიუ ბრაუნი, ყველა ბოუდინის რომ ეძახის. ეს კაცი მეხმარებოდა მე, როცა ახალბედა ვიყავი და შენც დაგეხმარება.

— მადლობელი ვარ, მისტერ რობინსონ. თუ თქვენ დაგეხმარათ, ეს კაცი ჩემთვისაც მისწრება იქნება.

ძალიან დამეგობრდნენ. ბოუდინის არ უჭირდა ადამიანებთან ურთიერთობა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს პროფესიონალი მოკრივისთვის, რადგან მატჩისთვის მზადების პერიოდში მისი ნერვები უკიდურესად დაძაბულია. ასეთ დროს მოკრივე ყველა წვრილმანს მოთმინებიდან გამოჰყავს და მწვრთნელზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. გარდა ფიზიკური ფორმისა, მან თავისი შეგირდის მორალურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზეც უნდა იფიქროს. კასიუსს ხუმრობა უყვარს. ბოუდინის სახით მან ჩინებული პარტნიორი იშოვა და ისინი მომქანცველ საწვრთნელ მეცადინეობას მხიარულ წარმოდგენებად აქცევდნენ ხოლმე. ბოუდინიმ იცოდა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოკრივისთვის კარგ, მხიარულ განწყობილებას ბრძოლის წინ. მაგრამ მან ისიც იცოდა, რომ მარტო ხუმრობით გამარჯვებაზე ოცნება არ შეიძლება. ერთხელ, სწორედ სონი ლისტონთან მატჩის წინ, ბოუდინიმ დამირეკა და მითხრა:

— რეი, ბიჭს უნდა მოელაპარაკო.

— რა იყო, მოხდა რამე?

— სულ არ მუშაობს ამტანობის გამომუშავებისთვის. 400 მეტრს გაირბენს და საკმარისი ჰგონია. ამბობს, მეტი არ მჭირდებაო, დარწმუნებულია, საუკეთესო ფორმაში ვარო, სინამდვილეში კი ასე არ არის.

— მოველაპარაკები, — დავპირდი მე.

კასიუსს მართლაც დავურეკე. ისე, სხვათა შორის დავუწყე ლაპარაკი, ვითომ არაფერი ვიცოდი და მხოლოდ ბოდოს, თითქოს შემთხვევით ჩამოვუდე სიტყვა საწვრთნელ მეცადინეობაზე.

— როგორ გაქვს ვარჯიშის საქმე?

— დიდებულად. მე და ბოუდინი ძალიან დავმეგობრდით.

— ამტანობისთვის როგორ ვარჯიშობ?

— ჩვეულებრივ. რანჩოს შემოვურბენ და მორჩა.

— და შენ გგონია, ეგ საკმარისია?

— ყოველ შემთხვევაში, ადრე საკმარისი იყო.

— მაგრამ ახლა 15 რაუნდი გელის და საამისოდ მზად უნდა იყო. დღეში რამდენ მილს დარბიხარ?

— არასდროს არ დამითვლია.

— მე ჩვეულებრივ ორი მილით ვიწყებ. ხტომა, ჩაჯდომი, სწრაფი არეკნი. მატჩამდე ერთი კვირით ადრე უკვე სამ მილს დავრბივარ, შემდეგ ოთხს, ხუთზე ეჩერდები.

— ხუთი მილი დღეში?

— დიახ. ისე არაფერი გამოგივა.

— არა, მართლა დარბიხართ ხუთ მილს დღეში?

— კასიუს, თუ ჩემი გჯერა, აიძულე თავი ასე ივარჯიშო. სასარგებლოა. შენ ხომ ლისტონთან შეხვედრა გელის.

მეორე დღეს ბოუდინიმ დამირეკა და მითხრა, ძლივს შევიყვანე კასიუსი საწვრთნელ დარბაზში, მანქანით გავეკიდე, რომ გამეჩერებინაო.

ამის შემდეგ კასიუსი ყოველდღე, ხანდახან კი დღეში ორჯერაც მირეკავდა, მიამბობდა წვრთნის ამბებს. ერთხელ დამირეკა და მეუბნება:

— მითხარით, როგორ ვებრძოლო ლისტონს.

— როგორც მე ებრძოდი ჯეკი ლამოტას, — მივუგე მე. — წარმოიდგინე ტორეადორი და ხარი. ძალით ლისტონთან ვერას გახდები, როგორც მე ვერაფერს დავაკლებდი ლამოტას. ის ხარი იყო, მე კი მატადორი, და ეშმაკობით ვაჯობე. შენც ასე უნდა აჯობო ლისტონს, ისე არაფერი გამოვა. მე გამოგიგზავნი ფილმს ჩემი და ლამოტას შეხვედრაზე. ნახე და შეისწავლე.

— უკეთესი იქნებოდა, თუ თავად მესტუმრებოდეთ. თქვენ ჩემს გვერდით უნდა იყოთ ბრძოლის დროს.

მივხვდი, რასაც მთხოვდა. სურდა თავისი გაეტანა — მწვრთნელად ავეყვანე. ჩავედი მაიამიში, სადაც იგი ვარჯიშობდა. იქაური ატმოსფერო სულ არ ჰგავდა იმ გარემოს, რომელშიც ჩვეულებრივ მოკრივეები ემზადებიან ხოლმე სერიოზული შეხვედრებისთვის. ხმაური, აურზაური, ვიღაც უცხო ხალხი, მისი სპარინგ-პარტნიორები, ძმა — რუდოლფ ვალენტინო კლეი, რამდენიმე გოგონა, ვიღაც საპატიო ჯენტლმენები, როგორც მერე გავიგე, მუსულმანური საზოგადოების წარმომადგენლები.

— კასიუს, მე რომ მკითხო, ამ ხალხისგან უნდა გათავისუფლდე.

— რატომ? ესენი, განსაკუთრებით გოგონები, შთაგონებას მმატებენ, — ხუმრობით მიპასუხა მან.

არ მეგონა, თუ დამიჯერებდა, მაგრამ მალე სახლი დაცარიელდა. ახლა კასიუსს მეტი დრო რჩებოდა დასვენებისთვის, ბრძოლის წინ აზრის მოკრებისთვის, „დათვის“ (ასე ეძახდა ლისტონს) დამარცხების გეგმის შედგენისთვის. უყვარდა ლისტონის გამასხრება. ერთხელ იმ სასტუმროში გაჩერდა, სადაც ლისტონი ვარჯიშობდა და გაცოფებამდე მიიყვანა იგი დაცინვით. ორთაბრძოლამდე ერთი დღით ადრე, როცა ასაწონად უნდა წასულიყო, კასიუსი გვერდზე ვავიხმე.

— კასიუს, ლისტონს რომ დაინახავ, თუ შეიძლებოდეს, თავი შეიკავე.

— ნუ გეშინია, ყველაფერი რიგზე იქნება, „დათვი“ უკვე ხაფანგში მყავს გაბმული.

მაგრამ, როგორც კი ლისტონი დაინახა, კლეიმ თავისი დაპირება დაივიწყა, დაიწყო დაცინვა, ყვიროდა: მე უდიდესი მოკრივე კასიუს კლეი გახლავართ და ლისტონს შავ დღეს დავაყრი, თუმცა მამად მერგებაო. თვალები ავად უბრწყინავდა. ვცდილობდი დამეწყნარებინა, მაგრამ ვერას გავხდი. მანიაკივით იქცეოდა, მსაჯთა კოლეგიის წარმომადგენელმა კლეი 2500 დოლარით დააჯარიმა მეტოქის შეურაცხყოფისთვის. როცა მის მანქანაში ჩავსხედით, კლეი ცოტა დაწყნარდა. გზაში ხმა არ ამოგვიღია. შინ, როცა მარტო დარჩა, ოთახში მოვაკითხე.

— კასიუს, გამიგონე, — დავიწყე მე.

— ყველაფერი რიგზეა, მოხუცო.

— თუ არ გინდა მომისმინო, ჩემი აქ ყოფნა სულაც არ არის საჯალდებულო. ყველაფერი, რაც აქამდე შეგხვედა და ბრძოლის წინ თუ ბრძოლის შემდეგ შეგხვდება, ჩემთვის განვლილი ეტაპია. მე ვერაფრით გამაკვირვებ. ახლა მომისმინე, რას გეტყვი. რინგზე რომ გამოხვალ, სისულელეებს ერიდე.

— კარგი, მოხუცო, ვეცდები. მაგრამ, როგორც კი ლისტონს დავინახავ, ყველაფერი მავიწყდება. მას თავი დაუმარცხებელი ჰგონია, მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ცხვირ-პირს ამოვუნაყავ.

— ჰო, მაგრამ, შენ ეს რინგზე უნდა დაამტკიცო და არა სხვაგან. მხოლოდ რინგზე შეგიძლია გაამასხრო, მხოლოდ იქ შეგიძლია მოიპოვო შენი ტიტული. დამიჯერე, შვილო, ჩემპიონად არავინ გამოგაცხადებს მხოლოდ იმისთვის, რომ ლისტონს აწონის დროს მოუგე. ერთადერთი ადგილი, სადაც შენი უპირატესობის დამტკიცება შეგიძლია, რინგია.

●

(დასასრული შემდეგ ნომერში)

* * *

სურათებზე: ზევით — რეი რობინსონი; ქვევით — კასიუს კლეი ლუზვილში სონი ლისტონთან შეხვედრის წინ. იგი სამზარეულო საქმითაა გატაცებული. დგას მისი ძმა რუდოლფ ვალენტინო კლეი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

მსაჯთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად

თბილისის ინდუსტიული ტექნიკუმის შენობაში (ორჯონიკიძის ქ. № 49) 15 თებერვლიდან იწყება ფეხბურთის მსაჯთა მოსამზადებელი საქალაქო სემინარი. შაბათ და კვირა დღეებში მეცადინეობა იწყრმოებს 10 საათიდან, ხოლო დანარჩენ დღეებში — საღამოობით.

ცნობების მიღება შეიძლება თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში ფეხბურთის ინსპექტორთან ი. ბოგორაძესთან. მისამართი: კონსტიტუციის ქ. № 6, ტელეფონი 95-97-91.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ფეხბურთის სამმართველო, ფეხბურთის ფედერაცია, ვეტერანი ფეხბურთელები იუწყებიან ძველი ფეხბურთელის, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის

ვლადიმერ ილიას ძე კოპაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 14 თებერვალს 19 ს., გამოსვენება 15 თებერვალს 15 ს. — ბორჯომის ქ. № 15.

კიევიდან მოსკოვში გაღაინაცვლეს

საბჭოთა ჩოგბურთელებმა სულ ახლახან კიევში გამართულ ზამთრის საკავშირო ტურნირში იასპარეზეს. ერთკვირიანი შესვენების შემდეგ ისინი უფრო დიდ შეჯიბრებაში გამოვლენ: 15 თებერვალს მოსკოვში იწყება ზამთრის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საბჭოთა ჩოგბურთელებთან ერთად ითამაშებენ ინგლისის, უნგრეთის, გდრ-ის, გფრ-ის, პოლონეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები. ამ დიდ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისელებიც — ა. მეტრეველი და თ. კაკულია.

ბიმონის გადაწყვეტილება

მექსიკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა სიგრძეზე ხტომაში რ. ბიმონმა გადაწყვიტა თავი დანებოს სპორტს. იგი შევიდა საზღვაოსნო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სამოქალაქო ფლოტში დაიწყებს სამსახურს და, ამრიგად, მტკიცე შემოსავალი გაუჩნდება.

„მე ახლა სულ აღარ მრჩება დრო ვარჯიშისთვის“, — თქვა ბიმონმა.

მძღოსანმა განაცხადა, რომ უსინანულოდ ანებებს თავს სპორტს.